**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის**

**ეთიკის კომისიის**

**გადაწყვეტილება**

**დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე**

**მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:**

მამუკა ნოზაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

ანა კოტეტიშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი – კოლეგიის წევრი

**საჩივრის ავტორი**: ტ. დ.

**საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 23.06.2022

**საჩივრის რეგისტრაციის ნომერი:** 050/22

**საჩივარი შეტანილია:** ადვოკატ დ. ა.-ის /სიითი №/ მიმართ

**საჩივრის მოთხოვნა:** ადვოკატ დ. ა.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

**I აღწერილობითი ნაწილი**

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2022 წლის 6 ივნისს, სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ტ. დ.-მ და მოითხოვა ადვოკატ დ. ა.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2022 წლის 25 ნოემბერს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ტ. დ.-მ მხარი დაუჭირა საჩივარში მითითებულ პრეტენზიებს. ტ. დ. დაესწრო 2023 წლის 15 დეკემბრის განხილვის კოლეგიის სხდომას, სადაც წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2021 წლის 15 დეკემბერს, მას გარდაეცვალა მეუღლე - რ. ჭ., რომელთანაც წლების განმავლობაში იმყოფებოდა არარეგისტრირებულ ქორწინებაში. ტ. დ. იმყოფებოდა საზღვარგარეთ, საიდან დაბრუნების შემდეგაც მეუღლის შვილებმა არ მისცეს იმ სახლით სარგებლობის უფლება, რომელიც წარმოადგენდა მეუღლეთა თანასაკუთრებას. აღნიშნული

სამემკვიდრეო დავის ფარგლებში ტ. დ.-მ ახლობლის რეკომენდაციით, იურიდიული დახმარების მიღების მიზნით, მიმართა ადვოკატ დ. ა.-ს, ვისთანაც 2021 წლის 15 დეკემბერს წერილობით გააფორმა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, ხოლო 2022 წლის 20 დეკემბერს ადვოკატს სანოტარო წესით გაუფორმა მინდობილობა. საჩივრის ავტორის განცხადებით, აღნიშნულ ხელშეკრულებას მხარეებმა ხელი მოაწერს ტ. დ.-ის საზღვარგარეთ წასვლის წინა საღამოს - ადვოკატის მანქანაში. შესაბამისად, მომჩივანი მოკლებული იყო შესაძლებლობას ხელშეკრულების ყველა პირობას დეტალურად გაცნობოდა. საჩივრის ავტორის განმარტებით, მხარეთა შეთანხმებით, საადვოკატო მომსახურების საფასურად განისაზღვრა 1500 აშშ დოლარის ექვივალენტი თანხა ლარში. მომჩივანმა, ადვოკატ დ. ა.-ს საადვოკატო მომსახურებისთვის წინასწარ გადაუხადა შეთანხმებული ჰონორარის ნაწილი - 700 ევრო, ხოლო თანხის დარჩენილ ნაწილს კლიენტი ადვოკატს ეტაპობრივად გადაუხდიდა.

1.3 საჩივრის ავტორი უთითებს, რომ ადვოკატ დ. ა.-სთან შეთანხმების ძირითად საგანს წარმოადგენდა სახლსა და მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადება, რათა სამოქალაქო დავის გადაწყვეტამდე არ მომხდარიყო აღნიშნული უძრავი-მოძრავი ქონების გასხვისება. ადვოკატი დ. ა. დაპირდა ტ. დ.-ს, რომ სასამართლოში შეიტანდა სარჩელს და მოითხოვდა ყადაღის დადებას აღნიშნულ უძრავ ქონებაზე, თუმცა დაპირების მიუხედავად ადვოკატმა დ. ა.-მ ხელშეკრულებით ნაკისრი არცერთი ვალდებულება არ შეასრულა. საჩივრის ავტორი უთითებს, რომ ადვოკატ დ. ა.-სთან კომუნიკაცია ხშირად ვერ ხერხდებოდა, ადვოკატი არ პასუხობდა კლიენტის ზარებს და ვალდებულების შეუსრულებლობის გასამართლებლად ასახელებდა სხვადასხვა მიზეზს. რადგან ტ. დ. საქმეზე ინფორმაციას სათანადოდ ვერ იღებდა, ის ხშირად ცდილობდა ადვოკატ დ. ა.-სთან დაკავშირებას, რამაც გამოიწვია ადვოკატის უარყოფითი რეაქცია - ადვოკატმა განუმარტა კლიენტს, რომ მომსახურების საფასურს გაუზრდიდა თუ ხშირად დაუკავშირდებოდა მას და შეურაცხყოფა მიაყენა სოციალური ქსელით, ხმოვანი შეტყობინებების საშუალებით. გარდა ამისა, მომჩივანმა მიიღო ინფორმაცია, რომ ადვოკატი დ. ა. წარსულში საადვოკატო მომსახურებას უწევდა მისი მოწინააღმდეგე მხარის ნათესავებს სამოქალქო საქმეზე. 2023 წლის 15 იანვრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ტ. დ.-მ განმარტა, რომ მასსა და ადვოკატ დ. ა.-ს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობის გამო, ადვოკატს ელექტრონული ფოსტის საშუალებით აცნობა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ და შესთავაზა მისთვის ჰონორარის სახით გადახდილი 700 ევროდან დაეტოვებინა 100 ევრო, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი დაებურნებინა, რაც ადვოკატს არ გაუკეთებია. მომჩივანის განმარტებით, ადვოკატს მისთვის არც საქმის მასალები დაუბრუნებია და ითხოვს ადვოკატისაგან გამოუმუშავებელი ავანსისა და საქმის მასალების დაბრუნებას.

1.4 საქმისწარმოების საპროცესო ეტაპზე, საჩივრის ავტორის შუამდგომლობის საფუძველზე, საპროცესო კოლეგიის 2022 წლის 14 დეკემბრის სხდომაზე გამოიკითხა მოწმე - ნ.დ, რომელიც არის ტ. დ.-ის შვილი. ნ. დ.-მ დაადასტურა ტ. დ.-ის მიერ მითითებული გარემოებები.

**2. ადვოკატის პოზიცია:**

2.1 ადვოკატმა დ. ა.-მ 2022 წლის 15 აგვისტოს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც განმარტა, რომ ტ. დ.-ის საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს. 2022 წლის 22 დეკემბერს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა დ. ა.-მ მხარი დაუჭირა წერილობით ახსნა-განმარტებაში წარმოდგენილ დასაბუთებას. ადვოკატი დ. ა. დაესწრო 2023 წლის 15 იანვრის განხილვის კოლეგიის სხდომას, სადაც უარყო საჩივრის ავტორის მიერ მითითებული სადავო ფაქტები.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მასსა და ტ. დ.-ს შორის 2021 წლის 15 დეკემბერს წერილობით გაფორმდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, სადაც დეტალურად აისახა მომსახურების პირობები. კერძოდ, დ. ა.-ს ტ. დ.-ისთვის იურიდიული დახმარება უნდა გაეწია სამოქალაქო საქმეზე - სამემკვიდრეო დავის ფარგლებში. ადვოკატის განცხადებით, 2021 წლის 15 დეკემბრის ხელშეკრულებას გაეცნო, როგორც ტ. დ. ასევე მისი ქალიშვილი - ნ. დ.. ხელშეკრულების შინაარსი მხარეებს შორის სადავო არ ყოფილა. ადვოკატი უთითებს, რომ ხელშეკრულების საფუძველზე ტ. დ.-ს დაევალა ადვოკატ დ. ა.-ისთვის ჰონორარის სახით 1500 აშშ დოლარის გადახდა, აღნიშნული თანხის ნაწილი - 700 ევრო კლიენტმა გადაიხადა ნაღდი ანგარიშსწორების გზით, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი ტ. დ.-ს ადვოკატისთვის არ გადაუხდია.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მან კონსულტაცია გაუწია ტ. დ.-ს საზღვარგარეთ წასვლამდე პოლიციაში თავისი სახელით გაეკეთებინა შეტყობინება სადავო მოძრავი ქონების სავარაუდო ფარულ დაუფლებასთან დაკავშირებით ან აღსრულების ეროვნული ბიუროს დახმარებით განეხორციელებინა ფაქტების კონსტატაცია, თუმცა ტ. დ.-მ მხარესთან მორიგების მიზეზით აღნიშნული არ განახორციელა, რის გამოც სადავო ქონების რაობის დადგენა და აღწერა გართულდა და გაჭიანურდა. ადვოკატმა განმარტა, რომ მან დეტალური კონსულტაცია გაუწია ტ. დ.-ს სამართლებრივ მოქმედებებზე და ისინი შეთანხმდნენ, რომ მას შემდეგ რაც ტ. დ. ამომწურავ ინფორმაციას მიაწვდიდა ადვოკატს სადავო ქონებაზე, ადვოკატი მიმართავდა სასამართლოს სადავო უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების მიზნით. თუმცა, ტ. დ. ერთობლივად არ აწვდიდა ინფორმაციას ადვოკატს მის მიერ შეძენილ სადავო ქონებასა და რ. ჭ.-ისათვის გადაცემული თანხის რაოდენობასთან დაკავშირებით, რაც დროში აჭიანურდებდა საქმისწარმოებას. ადვოკატი უთითებს, რომ ტ. დ.-ის დავა ეხებოდა სამკვიდრო ქონებას და სარჩელი უნდა ჩაბარებოდათ სავარაუდო მემკვიდრეებს, ამასთან გასული არ იყო სამკვიდროს მიღების ექვს თვიანი ვადა. აღნიშნული ვადიდან დარჩენილი იყო დაახლოებით ხუთი თვე, შესაბამისად ადვოკატ დ. ა.-ის მხრიდან ვალდებულების შესასრულებლად გათვალისწინებულ ვადის დარღვევას ვერ ექნებოდა ადგილი. ადვოკატმა განხილვის კოლეგიის 2023 წლის 15 დეკემბრის სხდომაზე დამატებით განმარტა, რომ მას სარჩელი მომზადებული ჰქონდა და მის სამოქმედო სტრატეგიას ეთანხმებოდა კლიენტი. ტ. დ. ინფორმირებული იყო, რომ სარჩელზე დასართავად ადვოკატისათვის უნდა გადაეცა სხვადასხვა მტკიცებულება, მათ შორის, საბანკო ამონაწერი და უძრავ-მოძრავი ქონების სრული სია. სწორედ აღნიშნული დოკუმენტების გადაცემას ელოდებოდა ადვოკატი. ადვოკატის განცხადებით საყურადღებოა, რომ ტ. დ.-ის ინტერესებში შედიოდა მოწინააღმდეგე მხარესთან მორიგებაც და გამომდინარე აქედან, ხელშეკრულების საგნად განისაზღვრა სარჩელის წარდგენა ან მორიგება. ადვოკატის განცხადებით, ტ. დ. ხშირად იცვლიდა პოზიციას და არ ითვალისწინებდა ადვოკატის რჩევებს.

2.4 ადვოკატის განმარტებით, ტ. დ.-ისთვის იურიდიული მომსახურება უნდა გაეწია მხოლოდ სამოქალაქო სამართლის საქმეზე, მაგრამ კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, კლიენტის თხოვნით, მან ტ. დ.-ს საადვოკატო მომსახურება გაუწია სისხლის სამართლის მიმართულებითაც, კერძოდ, ტ. დ.-ს მეუღლის მემკვიდრეები ედავებოდნენ რ. ჭ.-ის ავტომობილისა და მობილური ტელეფონის უკანონო მითვისებას. ადვოკატმა დ. ა.-მ გამოწერა დაცვის ორდერი და წარადგინა პროკურატურაში; კლიენტის ინტერესებს წარმოადგენდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ახმეტის რაიონულ პოლიციაში და ტ. დ.-ს უწევდა დეტალურ კონსულტაციას. ადვოკატმა, ტ. დ.-ის ინტერესების დასაცავად განახორციელა სხვადასხვა სახის მოქმედებები. კერძოდ, მან წარმომადგენლობითი უფლებამოსილება განახორციელა პოლიციაში - ოთხი ან ხუთი ვიზიტი თბილისს გარეთ, პოლიციის უფროსის მოადგილეს შეხვდა ორჯერ, ხოლო გამომძიებელს

ერთხელ და მას შემდეგ, რაც პოლიციაში წარდგენილ განცხადებაზე პასუხის ასაღებად მისულს, კლიენტმა  განუმარტა, რომ სურდა ადვოკატთან ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტა, რადგან მას უკვე ჰყავდა ახალი ადვოკატი, შეწყვიტა კლიენტისათვის საადვოკატო მომსახურების გაწევა.

2.5 ადვოკატის განმარტებით, ტ. დ. ხელშეკრულების დადების შემდეგ ადვოკატ დ. ა.-სთან ხშირად ურთიერთობდა, თითქმის ყოველდღიურად, მათ შორის არასამუაშაო პერიოდსა და კოვიდ პანდემიის პირობებშიც, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატმა არაერთხელ განუმარტა ტ. დ.-ს ვადების არსებობა, ის მაინც აგრძლებდა არამარტო ადვოკატთან, არამედ ადვოკატის ოჯახის წევრებთანაც დაკავშირებას, გარდა ამისა ადვოკატს უკავშირდებოდნენ სხვადასხვა ადამიანები, რომლებიც წარმოადგენდნენ ტ. დ.-ის ახლობლებს და ითხოვდნენ საქმის მდგომარეობაზე ინფორმაციას და შედეგებს. ადვოკატი უთითებს, რომ ტ. დ.-ის კომუნიკაციის სიხშირე სცდება ადვოკატის თმენის ვალდებულებას, რადგან ის ასრულებდა კლიენტისთვის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას - კლიენტს ყველა დოკუმენტს დაუყოვნებლივ უგზავნიდა ელექტრონული ფოსტის ან სოციალური ქსელის მეშვეობით და ტ. დ.-სთან ათანხმებდა სამოქმედო სტრატეგიას. ადვოკატის განმარტებით, ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სტანდატების დაცვით მოქმედებდა კლიენტთან მიმართებით და მის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურების ღირებულება აღემატება მის მიეერ კლიენტისაგან მიღებული ავანსის ოდენობას. ადვოკატის განმარტებით, გამომდინარე იქიდან, რომ მასსა და ტ. დ.-ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა შეწყდა კლიენტის ინიციატივით, ადვოკატის მხრიდან ვალდებულებების სრულად შესრულებამდე და მისთვის ცნობილი იყო ტ. დ.-ის ფინანსური მდგომარეობა და ფაქტი, რომ ტ. დ. არის ემიგრანტი, ადვოკატს სურდა კლიენტისათვის ჰონორარის ნაწილის დაბრუნება, თუმცა კლიენტმა თანხის მიღებაზე უარი განაცხადა.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მისთვის ახლახანს გახდა ცნობილი, რომ ჰონორარის ნაწილის დაბრუნებაზე უარის თქმიდან დაახლოებით 6 თვის შემდეგ, ტ. დ.-მ ელექტრონული ფოსტის საშუალებით გამოუგზავნა მოთხოვნა ადვოკატს გადახდილი ჰონორარის ნაწილის - 300 ევროს დაბრუნების თაობაზე, ვინაიდან ადვოკატი აღარ იყენებდა იმ ელექტრონული ფოსტის მისამართს, სადაც საჩივრის ავტორმა მიწერა. ადვოკატის განმარტებით, მისთვის ბუნდოვანია რა დოკუმენტების დაბრუნებას ითხოვს საჩივრის ავტორი, ვინაიდან მათ შორის კომუნიკაცია მიმდინარეობდა ელექტრონული ფოსტის დახმარებით და ის ტ. დ.-ს ელექტრონული ფოსტაზე ყველა დოკუმენტსა და საქმის მასალას აწვდიდა. შესაბამისად, მომჩივანს სრულად აქვს მიღებული მისი საქმისწარმოების მასალები.

**3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:**

3.1 2023 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებით, ეთიკის კომიისიის მეხუთე დისციპლინურმა კოლეგიამ, მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ დ. ა.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების საქმის წარმოების განხილვის ეტაპზე დადგენის შემთხვევაში, ადვოკატ დ. ა.-ის მიერ შეიძლება დარღვეულად ჩაითვალოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი (კლიენტისათვის გამოუმუშავებელი ავანსისა და საქმის მასალების დაბრუნების ვალდებულება).

## II სამოტივაციო ნაწილი

**4. საქმის ფაქტები:**

4.1 უდავო ფაქტები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

4.1.1 ადვოკატ დ. ა.-სა და ტ. დ.-ს შორის საადვოკატო მომსხურების შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა 2021 წლის 15 დეკემბერს. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა სასამართლოში სამოქალაქო სარჩელის წარდგენა ან მორიგება. 2021 წლის 20 დეკემბერს ტ. დ.-მ ადვოკატ დ. ა.-ს სანოტარო წესით გაუფორმა მინდობილობა N--.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ახსნა-განმარტება;
2. 2021 წლის 15 დეკემბრის იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე ხელშეკრულება;
3. 2021 წლის 20 დეკემბრის სანოტარო აქტი (მინდობილობა N).

4.1.2 მხარეთა შეთანხმებით, საადვოკატო მომსახურების საფასურად განისაზღვრა 1500 აშშ დოლარი. ტ. დ.-მ ადვოკატ დ. ა.-ს გადაუხადა 700 ევრო.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ახსნა-განმარტება;
2. 2021 წლის 15 დეკემბრის იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე ხელშეკრულების მე-4 მუყხლის 1-ლი პუნქტი.

4.1.3 მხარეთა შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდა რამდენიმე თვის შემდეგ, საჩივრის ავტორის გადაწყვეტილებით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. მხარეთა ახსნა-განმარტება.

4.2 სადავო ფაქტები:

4.2.1 მხარეთა შორის სადავოა ეკისრება თუ არა ადვოკატს კლიენტისათვის გამოუმუშავებელი ავანსისა და საქმის მასალების დაბრუნების ვალდებულება.

საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატმა სრულად არ შეასრულა 2021 წლის 15 დეკემბრის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ, არ მიმართა სასამართლოს სამოქალაქო სარჩელით. შესაბამისად, ადვოკატს ეკისრება კლიენტისათვის გამოუმუშავებელი ავანსისა და საქმის მასალების დაბრუნების ვალდებულება. ადვოკატმა დ. ა.-მ უარყო მომჩივანის მიერ მითითებული სადავო ფაქტები და განაცხადა, რომ მან ტ. დ.-ს საადვოკატო მომსახურება გაუწია სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე და მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა შეწყდა 2021 წლის 15 იანვრის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, ადვოკატს მიღებული ავანსის ნაწილის შესაბამისი მომსახურება კლიენტისათვის

გაწეული აქვს. ადვოკატის პოზიციით, მისთვის ბუნდოვანია კონკრეტულად რომელი დოკუმენტების დაბრუნებას ითხოვს მომჩივანი. ადვოკატის განმარტებით, მას საჩივრის ავტორისათვის საქმის მასალები სოციალური პლატფორმების საშუალებით აქვს გაგზავნილი.

განხილვის კოლეგიამ შეისწავლა დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი საქმის მასალები, მათ შორის ტ. დ.-სა და ადვოკატ დ. ა.-ს შორის სოციალური ქსელის საშუალებით წარმოებული მიმოწერა; ადვოკატ-კლიენტს შორის 2021 წლის 15 იანვრის იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება და დაადგინა, რომ ადვოკატი დ. ა. ტ. დ.-ის საქმეს აწარმოებდა როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო მიმართულებით, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატ-კლიენტს შორის გაფორმებული საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება მხოლოდ სამოქალაქო საქმის წარმოებას ითვაისწინებდა. დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი, მხარეთა შორის 2021 წლის 15 იანვარს გაფორმებული იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ადვოკატის ჰონორარს წარმოადგენდა 1500 აშშ დოლარი. ხელშეკრულების ამავე პუნქტთან, მხარეთა მიერ გაკეთებული ჩანაწერის მიხედვით, ადვოკატს კლიენტისაგან მიღებული აქვს მხოლოდ 700 ევრო. განხილვის კოლეგიაში საქმისწარმოებისას, საჩივრის ავტორმა დაადასტურა, რომ მას, გარდა 700 ევროსა ადვოკატისათვის სხვა თანხა არ გადაუხდია. დისციპლინური საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ადვოკატმა არაერთხელ გაუწია კლიენტს კონსულტაცია, შეიმუშავა სამოქამედო სტრატეგია, მონაწილეოდა მტკიცებულებების მოპოვებაში, ხშირად უკავშირდებოდა კლიენტს და აწვდიდა ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობაზე, კლიენტის სახელით უკავშირდებოდა საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენლებს და ახორციელებდა სხვადასხვა სამართლებრივ/საპროცესო მოქმედებებს, რასაც იწონებდა თავად კლიენტი. შესაბამისად, ადვოკატის მიერ, კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ განხორციელებული ქმედებების გათვალისწინებით, განხილვის კოლეგია ადგენს, რომ ადვოკატს კლიენტისაგან მიღებული თანხა სრულად აქვს გამომუშავებული.

განხილვის კოლეგიამ შეისწავლა დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, ადვოკატის მიერ კლიენტისათვის საქმის მასალების დაუბრუნებლობის სადავო ფაქტზე. კოლეგიის განმარტებით, გარდა იმისა, რომ საჩივრის ავტორმა განხილვის კოლეგიის 2023 წლის 15 დეკემბრის სხდომაზე ვერ შეძლო რომელიმე იმ დოკუმენტის დასახელება, რომლის დაბრუნებასაც ითხოვდა ადვოკატისაგან, ტ. დ.-სა და ადვოკატ დ. ა.-ს შორის სოციალური ქსელით წარმოებული მიმოწერითა და ელექტრონული ფოსტის შეტყობინებებით დგინდება, რომ ადვოკატი საქმის მასალებსა და მის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებს კლიენტს ელექტრონული ფოსტითა და სოციალური პლატფორმების დახმარებით უგზავნიდა. შესაბამისად, კლიენტს ადვოკატისაგან მიღებული აქვს საქმის მასალები და არ დგინდება ადვოკატის მიერ კლიენტისათვის საქმის მასალების მიუწოდებლობის ან რომელიმე დედანი დოკუმენტის დაუბრუნებლობის ფაქტი.

კოლეგიის შეფასებით, მომჩივანის პრეტენზია გამყარებულია მხოლოდ მისი ზეპირი განმარტებით, შესაბამისად, არ დასტურდება, ადვოკატ დ. ა.-ის მიერ კლიენტისაგან გამოუმუშავებელი ავანსის მიღებისა და კლიენტისათვის საქმის მასალების დაბრუნების ეთიკური ვალდებულების დარღვევის ფაქტები.

## 5.შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ დ. ა.-ის მიერ არ არის ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა.

## 6.სამართლებრივი შეფასება

6.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ დ. ა.-ის მიერ დარღვეული არ არის შემდეგი ნორმა:

კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას, ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ფულადი სახსრები, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან, რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი).

6.2 ჰონორარი წარმოადგენს ადვოკატის გასამრჯელოს, რომლის ოდენობას, სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში, განსაზღვრავს ადვოკატი, კლიენტთან შეთანხმებით და რომელსაც ადვოკატი გამოიმუშავებს შეთანხმებული მომსახურების შესრულებისას. თუ ადვოკატი წინასწარ იღებს ჰონორარის დანიშნულებით შეთანხმებულ თანხას სრულად ან ნაწილობრივ, მომსახურების გაწევამდე მოცემული ფულადი სახსრები წარმოადგენს კლიენტის ფულად სახსრებს, ავანსს. ადვოკატის პროფესიული ეთიკის დაცვისათვის, ჰონორართან დაკაშირებით, კლიენტთან ურთიერთობის დაწყებისას ადვოკატს აქვს კლიენტის ინფორმირების ვალდებულება მხოლოდ ჰონორარის ოდენობასა და გამოთვლის წესზე, რაც კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტისას მოიცავს ადვოკატის ცოდნას შესრულებული სამუშაოს მიხედვით, ავანსის წინასწარ მიღებისას, რა ოდენობის თანხა გამოიმუშავა. ადვოკატს აქვს ვალდებულება მომსახურების შეწყვეტიდან გონივრულ დროში მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია გამომუშავებული ჰონორარის ოდენობისა და არსებული ფინანსური საკითხების შესახებ. ადვოკატ-კლიენტს შორის საადვოკატო ურთიერთობის შეწყვეტისას, ადვოკატის უფლებამოსილებაა თავად განსაზღვროს ავანსის რა ნაწილი გამოიმუშავა, რაც უნდა იყოს გაწეული მომსახურების პროპორციული და უნდა ემყარებოდეს შეთანხმებიდან გამომდინარე გონივრულ დასაბუთებას. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი (მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი) ადვოკატს ავალდებულებს დაიცვას პროპორციულობის პრინციპი გაწეულ საადვოკატო მომსახურებასა და მიღებულ ჰონორარს შორის და გონივრულ დროში დაუბრუნოს კლიენტს ის თანხა, რომელიც მას არ გამოუმუშავებია. ეთიკის კომისიის კომპეტენციაა შეამოწმოს ადვოკატის კეთილსინდისიერება ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილით დადგენილი წესის შეუსრულებლოსას.

6.3 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტისას, ადვოკატს ეკისრება კლიენტისათვის საქმის მასალების დაბრუნების ვალდებულებაც. კლიენტის საქმეზე ადვოკატის მიერ მოპოვებული ან/და შექმნილი ყველა მტკიცებულება წარმოადგნს კლიენტის საკუთრებას და დოკუმენტების დროულად დაუბრუნებლობამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს კლიენტის ინტერესებს. შესაბამისად, ადვოკატს ეკისრება ვალდებულება დაყოვნების გარეშე დაუბრუნოს კლიენტს საქმის მასალები.

6.4 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატ-კლიენტს შორის ურთიერთობა წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობას, ხოლო სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად და კეთილსინდისიერად, სხვისთვის ზიანის მიყენების გარეშე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლი).

6.5 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი). შესაბამისად, მხარე ვალდებულია წარმოადგინოს იმ სადავო ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რასაც ეთიკის კომისიაში უთითებს. შესაბამისად, სწორედ ტ. დ. იყო ვალდებული ეთიკის კომისიაში წარმოედგინა ისეთი რელევანტური მტკიცებულებები, რაც განხილვის კოლეგიას სარწმუნო მტკიცების სტანდარტით დაარწმუნებდა ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ქცევის სტანდარტების დარღვევაში. თავის მხრივ, ადვოკატსაც ეკისრება ვალდებულება, გააბათილოს მომჩივანის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და სადავო ფაქტები.

6.6 დისციპლინური საქმის მასალების შესწავლის შედეგად, განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია, რომ ტ. დ. და ადვოკატი დ. ა. წერილობით შეთანხმდნენ ჰონორარის ოდენობაზე, რაც წარმოადგენდა 1500 აშშ დოლარს. ტ. დ.-მ ადვოკატ დ. ა.-ს გადაუხადა მხოლოდ 700 ევრო, რის შემდეგაც ადვოკატმა განახორციელა სხვადახვა საპროცესო თუ სამართლებრივი მოქმედებები. ადვოკატი კლიენტის ინტერესებისა და მითითებების შესაბამისად აწარმოებდა კლიენტის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს, კლიენტის ინტერესების დასაცავად ახორციელებდა სხვადასხვა სამართლებრივ მოქმედებებს (იხილეთ, გადაწყვეტილების 4.2.1 პუნქტი). ადვოკატსა და კლიენტს შორის სამართლებრივი ურთიერთობა დასრულდა კლიენტის - ტ. დ.-ის ინიციატივით, რის გამოც ადვოკატმა კლიენტისათვის საადვოკატო მომსახურების გაწევა ვეღარ დაასრულა. ადვოკატის მიერ მიღებული ავანსის ოდენობისა და მის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურების შეფასების შედეგად, განხილვის კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატს მიღებული ავანსი სრულად აქვს გამომუშავებული. შესაბამისად, მას არ ეკისრება კლიენტისათვის გამოუმუშავებელი ავანსის დაბრუნების ვალდებულება.

6.7 განხილვის კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ კლიენტისათვის საქმის მასალების დაბრუნების თაობაზე. კოლეგიამ ყურადღება გაამახვილა ფაქტზე, რომ საჩივრის ავტორმა ვერ შეძლო კონკრეტულად დაესახელებინა რომელიმე დოკუმენტი, რომლის დაბრუნებასაც ითხოვს ადვოკატისაგან. ამავდროულად, ადვოკატმა წარმოადგინა მასსა და ტ. დ.-ს შორის სოციალური ქსელისა და ელექტრონული ფოსტის საშუალებით წარმოებული მიმოწერა, საიდანაც დგინდება, რომ ადვოკატი ყველა დოკუმენტს ონლაინ ფორმატით, სხვადასხვა სოციალური პლატფორმების საშუალებით უგზავნიდა კლიენტს. აღნიშნული მტკიცებულების გასაბათილებლად, საჩივრის ავტორს, გარდა ახსნა-განმარტებისა სხვა მტკიცებულება არ წარმოუდგენია. შესაბამისად, განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატს არ ეკისრება კლიენტისათვის საქმის მასალების დაბრუნების ვალდებულება. ტ. დ.-ს ადვოკატ დ. ა.-ისაგან საქმის მასალები მიღებული აქვს და ის კონკრეტულად ვერ ასახელებს რა დოკუმენტის მიღება სურს ადვოკატისაგან და რომელი დოკუმენტი არ დაუბრუნებია მისთვის ადვოკატს. განხილვის კოლეგიის შეფასებით, მხოლოდ საჩივრის ავტორის ზოგადი განმარტების საფუძველზე, კოლეგია ადვოკატის მიერ ეთიკის

კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილით დადგენილი ქცევის სტანდარტს დარღვეულად ვერ მიიჩნევს.

6.8 განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-5 მუხლის მე-7 ნაწილით, მე-16, მე-17, 33-ე, 35-ე მუხლებით მე-40 მულის მე-2 ნაწილით და გადაწყვიტა:

**III სარეზოლუციო ნაწილი**

1. დისციპლინურ საქმეზე N050/22 ადვოკატ დ. ა.-ის /სიითი №/ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.
2. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება გაეგზავნოს მხარეებს.
3. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი /ბესარიონ ბოხაშვილი/